პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 1 ნოემბერი, 1942 წ. № 260 (6576). ფასი 15 კაპ.

საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო ძმობა

ძლიერი, თვით გულის სიღრმიდან ამოხეთქილი წერილით მიმართა უზბეკმა ხალხმა თავის შვილებს, უზბეკ მებრძოლებს. ჩვენ დღეს ვბეჭდავთ ამ წერილს. მასზე ხელი უწერია 2.412 ათას კაცს.

წერილს ამზადებდა მთელი უზბეკი ხალხი. მას კითხულობდნენ რესპუბლიკის ყველა ქალაქში, ყველა ყიშლაღში. მან ასახა დედების ნაზი ალერსი თავისი შვილებისადმი და მამების მკაცრი მოთხოვნა: არ შეარცხვინონ ღირსება და მამაცობის ტრადიციები ძველი ხალხისა, რომლისთვისაც არ არსებობს იმაზე მეტი სირცხვილი, მეტი დანაშაული, ვიდრე სიმხდალე სამშობლოსათვის ბრძოლაში, ვიდრე ამხანაგისათვის, ძმისათვის ღალატი ბრძოლაში. ამ წერილშია სიყვარული თავისი ხალხისადმი და უსაზღვრო ერთგულება საბჭოთა სამშობლოსადმი.

უზბეკი ხალხი აისახა ამ წერილში ყველა იმ ცვლილებიანად, რომლებიც საბჭოთა ქვეყანამ თავისი ცხოვრების 25 წლის განმავლობაში განიცადა. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები ისეთი გახდნენ, რომ მათ ვეღარ იცნობ. როგორც ხანგრძლივ ღამეს სცვლის სასიხარულო განთიადი, მზიანი დღე, ისე შეიცვალა აზიის ძველი ხალხებისათვის ჩამორჩენილობის, გაყინვის, კულტურული ძილის საუკუნეები მჩქეფარე სიცოცხლის, აღორძინების, კულტურული გაფურჩქვნის ახალი წლებით. სსრ კავშირის სტალინურმა კონსტიტუციამ ჩასწერა და დაამტკიცა სასწაულებრივი განვითარების შედეგები.

ქარხნები და ფაბრიკები, რომლებიც იმ ადგილებში ხალხს წინათ არ უნახავს, კოლმეურნეობები მინდვრებში, სადაც წინათ ღატაკი გლეხობა თავისი ოფლით რწყავდა მდიდართა მიწებს, თავისუფალი ხალხების ერთსულოვანი შრომით შექმნილ ახალ არხთა ქსელი, სკოლები, ინსტიტუტები, თეატრები—ვინ გამოიცნობდა ამაში წინანდელ მიყრუებულ და ბნელ კუთხეებს! გარდაიქმნა ქვეყანა, გარდაიქმნენ ადამიანები. გაიზარდნენ ახალი თაობანი, რომლებმაც არ იციან, რა არის მონობა, რომელნიც აღფრთოვანებულნი არიან თავისი ხალხის ბედნიერებაზე ფიქრით.

ნაციონალური ხელოვნების დეკადები მოსკოვში, ნაციონალური რესპუბლიკების პავილიონები სრულიადსაკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე — ხალხთა რა ტალანტები, რა ნიჭი გადაიშალა მთელი საბჭოთა ქვეყნის წინაშე, მთელი მსოფლიოს წინაშე!

ყოველივე ეს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების ნაყოფი იყო. საბჭოთა ხალხების მეგობრობა გახდა საბჭოთა დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი ბურჯი. ყველა საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი მეცადინეობით შეიქმნა მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიული და საკოლმეურნეო სახელმწიფო. ყველა ხალხი აშენებდა მას, ეხმარებოდა ერთიმეორეს, ერთმანეთს უზიარებდა გამოცდილებას. ასე წარმოიშვა მთელი თავისი სიმძლავრით საბჭოთა კავშირი. აშენებდნენ რა მას, ყველა საბჭოთა ხალხები გარდაჰქმნიდნენ თავის ყოფაცხოვრებას. სხვანაირი გახდა ადამიანი — საბჭოთა სახელმწიფოს მშენებელი. სხვანაირი გახდა ოჯახი, რომელმაც მშენებლები და მებრძოლები გამოზარდა.

უზბეკი ხალხის წერილში ნათქვამია:

„ოჯახი მცირეა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი დიდია. და ყოველი საბჭოთა ოჯახი ჩვენი ხალხების ოჯახთან შედარებით ჰგავს წყლის წვეთს ზღვაში. მაგრამ როგორც წყლის წვეთში იხატება დედამიწა, ცა და მზე, ისე საბჭოთა ადამიანის ოჯახში ცოცხლობს ჩვენი სამშობლოს დიადი ოჯახის ყველა თვისება".

საუცხოო სიტყვებია! ხალხთა თანასწორობამ, ნამდვილმა ინტერნაციონალიზმმა, ხალხთა ნაციონალური კულტურისადმი პატივისცემამ, ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და სამხედრო ურთიერთდახმარებამ წარმოშვეს ხალხთა ეს განუყრელი ძმური თანამეგობრობა ერთს დიად საბჭოთა ოჯახში და ურღვევი სიმტკიცე მიანიჭეს საბჭოთა სახელმწიფოს.

საბჭოთა კავშირი — ეს, წერილის სიტყვებით, ერთკარიანი სიმაგრეა, და, როცა ამ კარში ფაშისტი ავაზაკი შემოიჭრა, მრისხანე საფრთხე იგრძნო ყველა ხალხმა. ჰიტლერს ყველასათვის ერთი და იგივე რამ მოაქვს: ამოწყვეტა, განადგურება, დამონება. ხალხთა ყველა მონაპოვარს დაღუპვა ემუქრება. ჰიტლერელი ავაზაკების გამარჯვება მომასწავებელი იქნებოდა ადამიანის დამცირებისა, ნაციონალური კულტურისა და სახელმწიფოებრიობის განადგურებისა, გაგერმანელებისა, გერმანელ ბარონთა მონებად გადაქცევისა.

ჰიტლერელები არ მალავენ თავიანთ ზიზღს საბჭოთა ქვეყნის ხალხებისადმი. მათთვის ყველა „დაბალი რასაა". ჰიტლერი აღმოსავლეთის ხალხებზე ამბობდა: „ესენი მონღოლოიდური გამანადგურებელი ძალები არიან, რომლებიც არიული რასის მონები უნდა გახდნენო". სიტყვა „აზიელი" სალანძღავი, შეურაცხმყოფელი სიტყვაა ჰიტლერელთა ენაზე.

ქვენა ზრახვებით გატაცებული გერმანელი დამპყრობნი ფაშისტური დაბრმავებით ოცნებობდნენ, რომ ისინი ერთმანეთს გადაჰკიდებდნენ საბჭოთა კავშირის ხალხებს, განხეთქილებას შეიტანდნენ საბჭოთა ოჯახში, ხალხთა ჩხუბს გააჩაღებდნენ ფაშისტური ქვეყნების მსგავსად და ამრიგად დაასუსტებდნენ საბჭოთა კავშირს, გატეხდნენ მის წინააღმდეგობას და სათითაოდ გასწყვეტდნენ სსრ კავშირის ხალხებს. ეს არ გამოუვიდათ! ჩაიფუშა ჰიტლერის გეგმები, ანგარიშში მოსტყუვდა ეს ფაშისტი პროვოკატორი!

მსოფლიოს ხალხები „სტალინგრადის სასწაულის" შესახებ ლაპარაკობენ. კაცობრიობის ისტორიას ჯერ არასოდეს არ მოსწრებია ასეთი თავგანწირული თავდაცვა, ასეთი გმირული შეუპოვრობა. ხოლო ვინ იცავს სტალინგრადს? ვინ აღიმართა იქ რკინის კედლად? რუსი ადამიანები უკრაინელებთან და ბელორუსებთან ერთად, უზბეკებთან, ქართველებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, მთელი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შვილებთან ერთად. „სამშობლოსათვის! არც ერთი ნაბიჯი უკან!" —ამ ლოზუნგით მიდიან ბრძოლაში სტალინგრადის სახელოვანი დამცველები.

სტალინგრადი—იგი ჰფენს სხივებს საბჭოთა კავშირის ყველა მხარეს, მისკენ მიდის გზები ყველა საბჭოთა რესპუბლიკიდან. სტალინგრადში რუსი ხალხის შვილი იცავს თავის რუსეთს, ქართველი ხალხის შვილი—თავის საქართველოს, უზბეკი — თავის უზბეკეთს... ერთი მეორისაგან განუყოფელია.

ხალხთა მეგობრობა — ეს საბჭოთა თავდაცვის დიადი ძალაა. ჯერ კიდევ ომამდე წითელი არმია ეროვნული მეგობრობის სკოლა იყო ყველა საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილთათვის. წითელ არმიაში ბოლშევიკების პარტია სიყვარულით ზრდიდა საერთო საბჭოთა დედა-სამშობლოს დამცველთა კადრებს. ეს სკოლა გაიარა საბჭოთა კავშირის გმირმა ნელსონ სტეპანიანმა, საბჭოთა კავშირის გმირებმა ნოე ადამიამ, მიხეილ გახოკიძემ. ლეიტენანტი ჰუსეინ ბალი ალიევი, ახალგაზრდა ბაქოელი, წითელი არმიის აღზრდილი, გმირულად იბრძოდა ლენინგრადისათვის. დაღისტნის მკვიდრმა, საბჭოთა კავშირის გმირმა კაპიტანმა მაჰომედ გაჯიევმა ბარენცის ზღვაში დაგვანახვა წყალქვეშა ნავით ბრძოლის მაღალი ოსტატობა. იგი წითელი ფლოტის სკოლაში ეუფლებოდა თავის ოსტატობას. წითელი არმია საბჭოთა პატრიოტიზმის სკოლა იყო სამხედრო საქმის ათასობით ასეთივე სახელოვანი ოსტატებისათვის. იგი სკოლაში ყოფნისას, სწავლის დროს დაუძმობილდა ამხანაგებს—სხვა საბჭოთა ერების შვილებს.

სამამულო ომმა კიდევ უფრო შეამჭიდროვა საბჭოთა ხალხები სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულის, მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილის საერთო გრძნობით. სტალინგრადში, ლენინგრადთან, კავკასიაში სასტიკ ბრძოლებში ერთად ღვრიან სისხლს რუსებიც, უზბეკებიც, უკრაინელებიც, ტაჯიკებიც, ბელორუსებიც, აზერბაიჯანელებიც, ქართველებიც... სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლით განმტკიცებული ძმობა ყველაზე მტკიცე ძმობაა. ძმადნაფიცობაზე უძლიერესი მეგობრობა არ არსებობს. სამშობლოს დაცვის წმიდა საქმისათვის ძმად გაიფიცა მთელი საბჭოთა ქვეყანა.

მთელი უზბეკი ხალხი სიმტკიცესა და სიმამაცეს მოითხოვს თავისი შვილებისაგან.—არც ერთი ნაბიჯი უკან! — ესმის ახალგაზრდა უზბეკს თავისი ხალხის მოწოდება. და მან იცის: უზბეკეთში ადგილს ვერსად ჰპოვებს ის, ვინც შედრკა, ვინც სიმხდალით შეირცხვინა თავი, შეარცხვინა თავისი ოჯახი, თავისი სოფელი, თავისი ქალაქი.

ასე ეუბნება უზბეკი ხალხი თავის შვილებს. ასე ეუბნებიან თავიანთ შვილებს ყველა ხალხები. მტკიცე და ურყევია მათი გადაწყვეტილება შური იძიონ მტერზე, დაამარცხონ, მოსპონ იგი.

წერილში ნათქვამია: „უდიდეს სიძნელეთა წინაშე საბჭოთა ხალხი არ დაბნეულა და სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა. არა—მან მთელი თავისი ძალ-ღონე მოიკრიბა ომით წარმოშობილ სიძნელეთა გადასალახავად. საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა ბოლშევიკური პარტიისა და დიდი მხედართმთავრის — ამხანაგ სტალინის გარშემო".

საბჭოთა ხალხი ახლანდელსავით შემჭიდროებული არასოდეს არ ყოფილა! იგი წარმატებით სძლევს უდიდეს სიძნელეებს. იგი მედგრად უძლებს გამხეცებული მტრის გაავთრებულ მოძალებას, მტრისას, რომელიც თავის ჯარისკაცთა გვამების გორებს აყენებს სტალინგრადში და სტალინგრადის გარშემო, რათა დამალოს თავისი გეგმების ჩაფუშვა.

მტერი კვლავ მოისწრაფვის წინ. დაე კიდევ უფრო გაძლიერდეს წინააღმდეგობა მტრისადმი! კიდევ უფრო მჭიდროდ შევაერთოთ ჩვენი რიგები. დაე თითოეულ მებრძოლს აღბეჭდოს გულში უზბეკი ხალხის სიტყვები:

„ულეტთ რა გერმანელებს, თქვენ უდიდეს სიკეთეს სჩადიხართ. თქვენი ადამიანობა განიზომება თქვენ მიერ გაჟლეტილ გერმანელთა რაოდენობით".

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლაში მიდიან საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა შვილები. გაუმარჯოს წითელ არმიას—სსრ კავშირის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის არმიას!

„პრავდის" მოწინავე, 31/X.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

მშრომელთა სურვილის თანახმად ამა წლის 8 ნოემბერი ჩაითვალოს სამუშაო დღედ, უქმედ კი მხოლოდ ერთი დღე—7 ნოემბერი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

31 ოქტომბრის დილის ცნობა

30 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში, **ტუაფსეს** ჩრდილო-აღმოსავლეთით და **ნალჩიკის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ფინეთის ყურეში ჩვენმა ავიაციამ ჩასძირა მტრის ნაღმოსანი.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები შეუპოვარ თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ. მტერმა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარისა და 8 ტანკის ძალით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე ქარხნების რაიონში. ჰიტლერელთა იერიში მოგერიებულია. ჩვენმა ჯავშანსატანკო მტერეველებმა დააზიანეს გერმანელთა 3 ტანკი. სხვა უბანზე ჩვენი მებრძოლების ჯგუფმა ძიულის მეთაურის მოადგილის პოლიტიკურ ნაწილში ამხ. პრეობრაჟენსკის მეთაურობით მოიგერია მტრის იერიში. რვა საათის ბრძოლაში ჩვენმა მებრძოლებმა გასწყვიტეს 1 ასეულამდე ჰიტლერელი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები დაკავებულ ზღუდეებს ამაგრებდნენ და დაზვერვას ეწეოდნენ. ნ ქვეგანაყოფმა რუმინელებთან შეტაკებაში გასწყვიტა მტრის 80 ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ ვიგდეთ 2 ნაღმსატყორცნი, 4 ტყვიამფრქვევი და 250 ხელის გრანატი. ნ ნაწილის არტილერისტებმა დაანგრიეს მტრის 3 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 5 ბლინდაჟი და მოსპეს მიწაში ჩაფლული გერმანელთა 2 ტანკი.

* * *

ნალჩიკის რაიონში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები. მტერმა 1 ბატალიონამდე მეავტომატეების, 65 ტანკისა და ჯავშნიანი მანქანების ძალით და ავიაციის დახმარებით არაერთგზის მოიტანა იერიში ერთ დასახლებულ პუნქტზე. ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა იერიშები. მოსპობილია გერმანელთა 4 ჯავშნიანი მანქანა და 18 ტანკი. სხვა უბანზე ნ ნაწილმა მოიგერია მტრის ორი იერიში. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 240 გვამი. ჩვენი არტილერიის ცეცხლით დამსხვრეულია და აფეთქებულია მტრის 20 ავტომანქანა სამხედრო მასალიანად.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მზვერავები მოქმედებდნენ. მებრძოლთა ჯგუფმა კაპიტან ამხ. სმირნოვის მეთაურობით, მოქმედებდა რა მტრის ზურგში, გასწყვიტა 60 ჰიტლერელი და ხელთ იგდო რადიოსადგური. დასახლებულ პუნქტ გ-ში რაზმმა ამხ. პოპოდოზნიის მეთაურობით გაანადგურა გერმანელთა მსროლელი ნაწილის შტაბი. მოკლე ხნის შეტაკებაში ჩვენმა მებრძოლებმა რამდენიმე ოფიცერი მოსპეს. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და შტაბის დოკუმენტები.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ უბანზე გერმანელებმა რამდენიმე იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე. 6 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის იერიშები. ამ უბანზე ბრძოლის შედეგად გაწყვეტილია 700-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ორიოლელ პარტიზანთა რაზმმა ოქტომბრის ორი კვირის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა 12 სარკინიგზო ეშელონი. კატასტროფების შედეგად მოსპობილია 126 სამხედრო ვაგონი, 9 ვაგონი სამხედრო მასალიანად და 8 პლატფორმა ავტომანქანებიანად. ორიოლელ პარტიზანთა სხვა რაზმმა 4 დღის საბრძოლო მოქმედების განმავლობაში ააფეთქა გერმანელთა ჯავშნიანი მატარებელი, ავტოდრეზინი და რამდენიმე სარკინიგზო შემადგენლობა სამხედრო ტექნიკიანად და სხვადასხვა სამხედრო საჭურველიანად.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა უნგრელთა სამშენებლო ბატალიონის ჯარისკაცი იანოშ მ. მან განაცხადა: „მე ვნახე გერმანელების მიერ გადამწვარი ბევრი ქალაქი და სოფელი. რამდენიმე დღეს ვიყავი ქალაქ ორიოლში. იქ ცოტა მცხოვრები დარჩა. გერმანელმა და უნგრელმა ჯარისკაცებმა გაძარცვეს ქალაქისა და ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი. გაწამებული და მშიერი ქალები აჩრდილებივით დაიარებიან. უნგრელმა ოფიცერმა, უფროსმა ლეიტენანტმა ბანოვიჩმა 15 ქურქი და ტყაპუჩი, 8 საათი, ბევრი ფეხსაცმელი, რამდენიმე ხალიჩა და სხვა ნივთები დაიტაცა. ყოველივე ეს ძლივს მოთავსდა ორ საზიდარში".

* * *

ქალაქ პირეიში (საბერძნეთი) იტალიელთა ერთი ნაწილის ჯარისკაცებმა უარი სთქვეს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წასვლაზე. იტალიელმა ჟანდარმებმა მხოლოდ გერმანელთა დახმარებით მოახერხეს განეიარაღებინათ და დაეპატიმრებინათ 200 ჯარისკაცი. მათ ბორკილი გაუყარეს და საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს.

31 ოქტომბრის საღამოს ცნობა

31 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის** რაიონში, **ტუაფსეს** ჩრდილო-აღმოსავლეთით და **ნალჩიკის** რაიონში. დანარჩენ ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

30 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ავიაციის მიერ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მოსპობილია მტრის 80-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, დამწვარია 2 საწყობი სამხედრო მასალა და საწვავის საწყობი, დამტვრეულია ორი ორთქლმავალი და 100-მდე ვაგონი, ჩახშობილია 8 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, გაფანტული და ნაწილობრივ მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მტრის იერიშებს. ქალაქის საქარხნო ნაწილში ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა ორი იერიში და ეწეოდნენ ბრძოლებს თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად. არასრული ცნობებით, დღის განმავლობაში მოსპობილია გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, 10 ტანკი, 50-ზე მეტი ავტომანქანა, 6 სანაღმსატყორცნო და 5 საარტილერიო ბატარეა, 25 ტყვიამფრქვევი, დანგრეულია 5 ძელმიწური საცეცხლე წერტი. ქალაქის სამხრეთ განაპირა უბანში ნ ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის 3 იერიში და გასწყვიტეს 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა მფრინავებმა და მეზენიტეებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 15 თვითმფრინავი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ნაწილები ამაგრებდნენ დაკავებულ პოზიციებს და ცეცხლითს ბრძოლას ეწეოდნენ მტერთან. ნ ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა ძელმიწური საცეცხლე წერტი, ორ ოცეულამდე ქვეითი ჯარი და 20 საზიდარი სხვადასხვა ტვირთიანად. სხვა უბანზე ჩვენი ნაწილის სნაიპერებმა გასწყვიტეს 126 ჰიტლერელი. სნაიპერმა ამხ. კაცანმა დახოცა 12 ჰიტლერელი, ამხ. პიმენოვმა—9, სნაიპერების წყვილმა ამხ. ოსიპოვმა და სოკოლოვმა 12 ჰიტლერელი დახოცეს.

* * *

ნალჩიკის რაიონში საბჭოთა ჯარები შეუპოვარ თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ მტერთან. ნ ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს რამდენიმე იერიში მტრის ქვეითი ჯარისა, რომელიც 40 ტანკისა და ავიაციის დახმარებით მოქმედებდა. ამ ბრძოლაში ჰიტლერელებმა მარტო მოკლულთა სახით დაჰკარგეს 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, 2 ტანკი და 19 ავტომანქანა სამხედრო მასალიანად. დღის ბოლოს მათ დიდი ძალებით განაახლეს იერიშები და ერთი დასახლებული პუნქტის გარეუბანში შემოიჭრნენ.

* * *

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ და რამდენადმე წაიწიეს წინ. ერთ უბანზე ჩვენი მებრძოლები წყლის ზღუდეზე გადავიდნენ და გერმანელები განდევნეს მათი პოზიციებიდან. ამ ბრძოლის შედეგად გაწყვეტილია მტრის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი და წამოღებულია დავლა.

* * *

ვორონეჟის ფრონტზე აქტიურად მოქმედებდნენ სნაიპერები და მზვერავთა მცირე ჯგუფები. ჩვენი მზვერავების მიერ ღამის განმავლობაში მოსპობილია მტრის 9 ტყვიამფრქვევი, ტანკი, ქვემეხი, 2 ნაღმსატყორცნი ბატარეა და გაწყვეტილია 170 ჰიტლერელი. ოთხმა სნაიპერმა წითელარმიელმა ამხ. ტიულკინმა, ვოლჩკოვმა, სირცოვმა და გვარდიის ზემდეგმა გოლოსოვმა პოზიციები დაიკავეს მტრის თავდაცვის უშუალოდ წინა კიდის მახლობლად და დღის განმავლობაში 25 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს.

* * *

ბელორუს პარტიზანთა ორი რაზმი გაერთიანებული ძალებით დაესხა თავს მტრის მატარებელს, რომლითაც „სს"-ელები მიდიოდნენ. პარტიზანმა აფეთქებლებმა ორთქლმავალი და რამდენიმე წინა ვაგონი ააფეთქეს. ჯავშანსატანკო მტერეველებმა და მეავტომატეებმა გადარჩენილ ვაგონებს დაუშინეს და 100-ზე მეტი ჰიტლერელი ბანდიტი გასწყვიტეს. მეორე რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ააფეთქა რკინიგზის ხიდი და ლიანდაგიდან გადააგდო მტრის ეშელონი. დამსხვრეულია ორთქლმავალი და 11 ვაგონი სამხედრო ტვირთიანად. მატარებელთა მოძრაობა ამ უბანზე შეჩერებული იყო სამ დღე-ღამეს. რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა პატრიოტებმა ააფეთქეს შემადგენლობა, რომელიც გერმანიაში მიდიოდა ჰიტლერელების მიერ გლეხებისათვის წართმეული ხორბლითა და პირუტყვით დატვირთული. მოსპობილია ორთქლმავალი, 9 ვაგონი და ორი პლატფორმა.

* * *

რუმინელთა I დივიზიის I საარტილერიო პოლკის ტყვედ დანებებულმა ჯარისკაცმა ვასილე მ-მ განაცხადა: „ჩვენს დივიზიას უდიდესი ზარალი მოუვიდა. ამ დღეებში მე კოტელნიკოვოში ვიყავი, ჰოსპიტალში. იქ წარმოუდგენელი ჭედვაა. 300-ზე მეტი დაჭრილი ეზოში ცისქვეშ იწვა. ერთმა დაჭრილმა ჯარისკაცმა, რომელიც მიწაზე გორავდა ლობის ძირას, მითხრა, ბრძოლის ველიდან სამი დღის წინათ მომიყვანესო. ამ ხნის განმავლობაში მისთვის არც ერთხელ არ შეუხვევიათ ჭრილობები. ბევრი მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცი რომელთაც სამედიცინო დახმარება აკლდათ, აქვე ეზოში გარდაიცვალა".

* * *

რომის რადიომ გადასცა მორიგი ნაყალბევი ლენინგრადზე თავდასხმის შესახებ. რომაელმა მატყუარებმა გადასცეს, რომ „გერმანიის ავიაცია 28 ოქტომბერს ღამით წარმატებით დაესხა თავს პეტერბურგს. ჩაყრილმა ყუმბარებმა დიდრონი ხანძრები გამოიწვია. საჰაერო დუელებში პეტროგრადის თავზე და მის ახლო-მახლო 44 საბჭოთა თვითმფრინავია ჩამოგდებული. გერმანიის ზარალი 2 თვითმფრინავს უდრის". ამ ცნობაში ერთი სიტყვაც არ არის მართალი. 28 ოქტომბერს ღამით მტრის ავიაციის არავითარი თავდასხმა არა ყოფილა ლენინგრადზე. საბჭოთა ავიაციას ლენინგრადის რაიონში არავითარი ზარალი არ მოსვლია. უფრო მეტი, არც გერმანიის ავიაციას დაუკარგავს ის ორი თვითმფრინავი, რომლების შესახებაც რომის რადიო იუწყება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 28 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ლენინგრადის მისადგომებზე შემჩნეული იყო გერმანელთა ერთადერთი ბომბდამშენი, რომელიც საბჭოთა ავიაგამანადგურებლის გამოჩენისთანავე მიიმალა. ჩვენ ვაქვეყნებთ ამ ფაქტებს, რათა ერთხელ კიდევ და კიდევ გამოვააშკარაოთ ჰიტლერელი ბაცაცა ყალთაბანდები.

სსრ კავშირში პოლონეთის ელჩის ბ-ნ ტ. რომერის მიერ რწმუნებულობის სიგელების გადაცემა

ა. წ. 31 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ტ. რომერი, რომელმაც თავისი რწმუნებულობის სიგელები გადასცა.

სპეციალურ ნაგებობათა მშენებლობის მუშაკების დაჯილდოება

სპეციალურ ნაგებობათა მშენებლობის დარგში მთავრობის დავალების საუკეთესოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით—შემდუღებელ სამუშაოთა ინსტრუქტორი შ. გ. მუხამედიაროვი, № 201 მშენებლობის უფროსი ი. ვ. ოკაემოვი, მიწახაპიათა ქარავნის ჯგუფის მექანიკოსი ი. ი. რუბინი, № 15 მშენებლობის მთავარი ინჟინერი გ. დ. ჩხეიძე.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 19 კაცი;

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 36 კაცი;

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"—50 კაცი, **მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"**—47 კაცი. (საკდესი).

საოქტომბრო საჩუქრები გმირ წითელ არმიას

ახლოვდება დიდი ოქტომბრის XXV წლისთავის დღე. საქართველოს მშრომელებმა შეაგროვეს აურაცხელი საჩუქრები, რომლებიც განუწყვეტელ ნაკადად უკვე მიდის ფრონტზე, სადაც საზიზღარი ფაშისტების წინააღმდეგ იბრძვიან ჩვენი სახელოვანი მეომრები.

მაიაკოვსკის რაიონის მშრომელებმა მებრძოლებს გაუგზავნეს 4.300 ლიტრი ღვინო, 250 ლიტრი არაყი, 150 ბოთლი კონიაკი, 100 ბოთლი ყურძნის წვენი, 220 კილოგრამი თაფლი, 740 კილოგრამი ვაშლი და მსხალი, 150 კილოგრამი თამბაქო, პაპიროსის ქაღალდი და სხვ.

ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანის კოლმეურნეობა ჩვენს სახელოვან მებრძოლებს უგზავნის 1.500 კილოგრამ კარტოფილს, 100 კილოგრამ ხორცს, 300 კილოგრამ კომბოსტოსა და სტაფილოს, 20 ქათამს და სხვ. სოფელ ციხისჯვრის კოლმეურნეობა „ნეაზოის" წევრებმა მებრძოლებს გაუგზავნეს 2.500 კილოგრამი კარტოფილი, 20 კილოგრამი კარაქი, 200 კილოგრამი კომბოსტო და 2 ცხვარი.

ცაგერის რაიონის მშრომელებმა უკვე გაგზავნეს ფრონტზე 4.747 კილოგრამი სხვადასხვა საჩუქარი. საჩუქრების შეგროვება გრძელდება. კოლმეურნეები ფრონტზე გასაგზავნად ამზადებენ ღვინოს, არაყს, ყველს, ჩურჩხელას, ნიგოზს, ვაშლს და სხვ. სოფელ ლუხვანოს მოსწავლეებმა შეაგროვეს 44 კილოგრამი ხილი. დიდძალი საჩუქრები გაუგზავნეს ფრონტელებს ზარაგულას, უსახელოს, ლუხვანოს და სხვა კოლმეურნეობებმა.

ხარაგოული („კომუნისტის" სპეც. კორ.). უხვ საჩუქრებს უგზავნიან წითელ არმიას ორჯონიკიძის რაიონის მშრომელები.

საჩუქრებით დატვირთული ერთი ვაგონი უკვე გაიგზავნა. გაგზავნილია: 4.202 კილოგრამი ვაშლი, 1.242 კილოგრამი ყურძენი, 803 კილოგრამი კაკალი, 180 კილოგრამი ხმელი ხილი, 619 კილოგრამი წაბლი, 635 კილოგრამი კარტოფილი, 280 კილოგრამი ლობიო. დიდი რაოდენობით ყველი, კვერცხი, ქათმები, თამბაქო, თბილეული და სხვ.

საჩუქრების შეგროვება გრძელდება.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

საწარმოო გეგმების გადამეტებით შესრულება — ფრონტისადმი დახმარება!

კიროვის ქარხანამ წლიური გეგმა შეასრულა

წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელმა ქარხანამ (დირექტორი ბ. სარიშვილი, პარტბიუროს მდივანი გ. კაზაზიშვილი) მიმდინარე წლის საწარმოო დავალება 30 ოქტომბრისათვის შეასრულა. ქარხანამ 10 თვეში წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცა 1.270.000 მანეთის პროდუქცია.

ქარხანაში დიდი ყურადღება ექცეოდა მომჭირნეობის რეჟიმს. 9 თვის განმავლობაში კიროველებმა დაზოგეს 47 ტონა მაზუთი, 15 ტონა ქვანახშირი, 117.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია. ამავე დროს მათ ხელფასის ფონდში და ადმინისტრაციულ ხარჯებში მოიმომჭირნეს მილიონ მანეთზე მეტი.

ქარხნის ცნობილი ოსტატები და კვალიფიციური მუშები თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ ახალგაზრდა მუშებს, ასწავლიან მათ სპეციალობას და თავიდანვე აჩვევენ მომჭირნეობის რკინისებურ რეჟიმს. ქარხანამ ოქტომბერში ნაცვლად შეჯიბრებით გათვალისწინებული 70 მუშისა 110 მუშას შეასწავლა სპეციალობა.

ოქტომბერში კარგად მუშაობდნენ № 11, მექანიკური, № 9 და საიარაღო საამქროები. თვიური დავალება მათ 10-15 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს, გასწიეს მნიშვნელოვანი ეკონომია და შეაგროვეს მრავალი რაციონალიზატორული წინადადება.

ცნობილი მღარველი ა. ჩერნოგოროვი, რომელიც 4 დაზგაზე მუშაობს, დღიურ დავალებას 600-700 პროცენტით ასრულებს. ამწყობი საამქროს კომკავშირელი ზეინკლები ი. ბაბენკო და ვ. შელუგოვი დღიურ დავალებებს სისტემატურად 700-800 პროცენტით ასრულებენ. გასულ თვეს ისინი ერთი კვირის განმავლობაში დღიურად 1.000-1.500 პროცენტს იძლეოდნენ.

ქარხანაში თავდადებული მუშაობით გამოირჩევიან აგრეთვე ზეინკლები ვ. სვანი, ა. ხუციშვილი, ორდენოსანი ხარატი ქალი ინდუაშვილი და მჭედელი ფ. ბელუკოვი, რომლებიც სისტემატურად დღეში 5-6 ნორმას აღწევენ.

ი. შორომჭნელი

თვიური დავალება გადამეტებით შეასრულეს

თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანამ (დირექტორი ამხ. ი. უსოვი) ოქტომბრის საწარმოო დავალება ვადაზე სამი დღით ადრე შეასრულა და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცა 40.000 მანეთის პროდუქცია.

კონსტრუქციის საამქრომ (უფროსი ამხ. ე. ვოლხოვი) თვიური დავალება 115 პროცენტით შეასრულა, მექანიკურმა (უფროსი ამხ. გ. მარქაროვი)—110 პროცენტით და სხვ.

ორდენოსანი ელექტროშემდუღებელი ამხ. მ. ტოტოსაშვილი მთელი თვის განმავლობაში დღეში 2-3 ნორმას იძლეოდა. მჭედელმა ა. პაპავაძემ, მწნეხელმა ევდოკია სტაცენკომ და ამწყობმა ა. გვიმბრაძემ თვიური დავალება 200 პროცენტით შეასრულეს.

ქარხანაში ფართოდ არის გაშლილი აგიტმასობრივი მუშაობა. აგიტატორები ამხ. კ. ერისთავი, ა. ვოლოხოვი და სხვ. საკუთარი მიღწევებით მაგალითს აძლევენ დანარჩენებს.

ქარხნის კოლექტივი ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებით ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავს.

გეგმის გადამეტებით ასეულობით ტონა ქვანახშირს იძლევიან

ტყიბული („კომუნისტის" საკ. კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტის მაღაროელები ბოლშევიკურად ასრულებენ ჭიათურის მარგანტრესტისა და ტყვარჩელქვანახშირის ტრესტების მაღაროელებთან დადებული სოცშეჯიბრების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის მაღარომ (უფროსი ა. კუბლაშვილი, მთავარი ინჟინერი ნ. კვინიხიძე), რომელიც ეჯიბრება ჭიათურის მარგანტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს, 30 ოქტომბერს, დილის ცვლაში შეასრულა თვიური დავალება. მაღაროელები გეგმის გადამეტებით ასეულობით ტონა ქვანახშირს აძლევენ სამშობლოს. მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს იძლევიან მთელი რიგი ცვლები და ბრიგადები. ოქტომბრის 28 დღეში ქვანახშირის ამოღების დავალება გადაჭარბებით შეასრულეს ალ. გაბრიაძის, ს. ლანჩავას, ტ. ხორხომელიძის, პ. არსენიძის, ე. ობოლაძის, პ. მიქაუტაძის ბრიგადებმა. ამ ბრიგადებში მომუშავე მნგრეველები და მებიგეები: პ. არსენიძე, ე. ცნობილაძე, პაშა აბესაძე, ვ. ცირეკიძე, პოლინა ნიპლიუხინა, შ. გაბრიაძე და ათეულობით სხვები ყოველდღიურ ნორმებს 250-350 პროცენტით ასრულებენ.

მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ დაცვით და ქვანახშირის ამოღების ყოველდღიური გეგმების შესრულებით დაწინაურდნენ აგრეთვე ამხ. მ. ციცხვაიას (დასავლეთი შახტი) და ლ. ვაშაკიძის (ლენინის სახელობის მაღარო) უბნები. აქ ახლების ნაცვლად იყენებენ ძველ ბიგებსა და რელსებს, მომჭირნედ ხარჯავენ ასაფეთქებელ მასალას.

დასავლეთ შახტში მუშაობენ დონბასიდან ჩამოსული მეშახტენი: ეგნატე ხმულა, აბრამ კლეიმბერგი, ოლია მელნიკოვი, ევდოკია ბრილია, აბრამ ავირბუხი, გალინა ლუცენკო, ალექსანდრე ჟუგინი და სხვები, რომლებიც ნორმებს 250-345 პროცენტით ასრულებენ.

დ. საბელაშვილი

გააფთრებული ბრძოლები სტალინგრადის რაიონში

მოქმედი არმია, 31 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის რაიონში გრძელდება ბრძოლები შემოტევ გერმანელ ფაშისტთა ჯარებთან. მტერი იქით-აქეთ ეხეთქება და ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, წინ გამოიჭრას. მაგრამ ვერ ახერხებს. საბჭოთა ჯარები მტკიცედ იგერიებენ მტრის შემოტევას და თავის მხრივ ძლიერ კონტრდარტყმებს აყენებენ მას. ქალაქის ქუჩები დაფარულია ჰიტლერელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამებით. დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა გასწყვიტეს 1.100-ზე მეტი ფაშისტი, დააზიანეს და დასწვეს 8 ტანკი, ჩაახშეს 14 სანაღმსატყორცნო და საარტილერიო ბატარეის ცეცხლი.

მიუხედავად უდიდესი ზარალისა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ, ჰიტლერელები არ ანელებენ შემოტევას. როგორც წინა დღეებში, ძირითად ძალებს გერმანელებმა თავი მოუყარეს ქარხნების რაიონში. საქარხნო რაიონის ქუჩებში სწარმოებს სისხლისმღვრელი ბრძოლები ტანკებსა და ჯავშნიანი საფარვლის უკან მომავალ გერმანელ მეავტომატეებთან.

დღითი-დღე მტკიცდება საბჭოთა მებრძოლების წინააღმდეგობა. საქარხნო რაიონში მოქმედმა ნ ქვეგანაყოფმა მიიღო ბრძანება—განდევნა მოწინააღმდეგე ერთი ზღუდიდან. ჩვენი მებრძოლები იერიშზე გადავიდნენ. კომკავშირელი კრავჩენკო წინ გაიჭრა და 12 გერმანელი დახოცა. სასიკვდილოდ დაჭრილმა ოცეულის მეთაურმა გლადკიხმა მასთან მოსამშველებლად მივარდნილ წითელარმიელებს უთხრა:

„მე ვიღუპები, ამხანაგებო. მაგრამ ბრძოლის ველიდან მანამდე ნუ გამიტანთ, სანამ სარდლობის ბრძანებას არ შეასრულებთო".

წითელარმიელები და მეთაურები გაბედულად ებმებიან ბრძოლაში რიცხვობრივად ჭარბი მტრის წინააღმდეგ. 5 ფაშისტი ცდილობდა ტყვედ ჩაეგდო მეთაური დენისენკო, რომელმაც კონტუზია მიიღო ბრძოლაში. როცა გერმანელები უკვე სულ ახლოს იყვნენ დენისენკომ მათ ორი გრანატი ესროლა. სამი ფაშისტი მოკლულ იქნა. მაგრამ მტრის ორი ჯარისკაცი განაგრძობდა ცოცვას. დენისენკო მჭიდროდ გაეკრა მიწას და მესამე გრანატი ისროლა. ჰიტლერელები მოსპობილ იქნენ.

საბჭოთა მფრინავები და მეზენიტე არტილერისტები წარმატებით ებრძვიან ფაშისტთა ავიაციას. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 18 თვითმფრინავი.

ნ. მარკოვსკი

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით

მოქმედი არმია, 31 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით საბჭოთა ჯარები განაგრძობენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას. გერმანელები გამძაფრებით ცდილობენ შეაჩერონ საბჭოთა ჯარების იერიშები, ამასთან უდიდესი ზარალი მოსდით.

ნ ნაწილის მებრძოლებმა მძაფრი იერიშით უკუაგდეს მტერი მთის მდინარის ჩრდილოეთ ნაპირზე. წამოღებულია დავლა.

მეზობელ უბნებზე გერმანელებმა მთელი რიგი იერიშები მოიტანეს. ყველა იერიში მოგერიებულ იქნა. ამასთან მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. ერთი მაღლობის მახლობლად ფაშისტებმა ჩვენი ქვეგანაყოფის წინააღმდეგ იერიშზე ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი გამოიყვანეს. საბჭოთა მეომრებმა უკუაქციეს მოწინააღმდეგე, ამასთან მოსპეს 300 ჰიტლერელი.

სხვა ადგილზე ჩვენი ნაწილი დაეწია მტრის ჯარისკაცთა ჯგუფს, რომელიც თავისი ალყაშემორტყმული გარნიზონის დასახმარებლად მიემართებოდა. წითელარმიელებმა ჰიტლერელებს თავს მოახვიეს ბრძოლა იქ, სადაც ისინი ამას არ მოელოდნენ, და ხელჩართულ შეტაკებაში დახოცეს მტრის ერთ ასეულამდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ალალი, რომელიც თან მოსდევდა ამ კოლონას, მთლიანად იქნა მოსპობილი ჩვენი ნაღმსატყორცნელების ცეცხლით.

ჩვენი ალპინისტების მცირე ჯგუფმა გაბედული და მარჯვე გამოხდომა მოახდინა მტრის ზურგში. ისინი შეიჭრნენ გერმანელთა მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტში და დახოცეს ათობით ჰიტლერელი.

ფაშისტების დიდი ჯგუფი, საბჭოთა მეზღვაურების ფორმით გამოწყობილი, ცდილობდა ჩვენს განლაგებაში შემოღწევა. მტრის პროვოკაცია დროზე იქნა გამოცნობილი. წითელარმიელებმა მოწინააღმდეგე წინასწარ კარგად დამიზნებულ ადგილას შემოუშვეს და გრიგალისებური ცეცხლი დაუშინეს. ფაშისტებმა ბრძოლის ველზე მრავალი მოკლული ჯარისკაცი დასტოვეს და გაიქცნენ.

ჰიტლერელებმა სისხლისღვრით გაუსწორეს ანგარიში სოფელ ლიუბიგოშჩის მცხოვრებლებს

მოქმედი არმია, 31 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ამ დღეებში ფრონტის ხაზზე გადმოსულმა პარტიზანებმა მოიტანეს აქტი იმ საზარელ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რაც ჰიტლერელებმა 1942 წლის 5 ივნისს ჩაიდინეს ორიოლის ოლქის დიატკოვის რაიონის სოფელ ლიუბიგოშჩში. ჰიტლერელებმა ეს სოფელი გადასწვეს და გაძარცვეს, ხოლო მცხოვრებლებს სისხლისღვრით გაუსწორეს ანგარიში. ერთი დღის განმავლობაში ჰიტლერელებმა აქ დასწვეს 500 სახლკარი, 2 სკოლა, 77 საკოლმეურნეო ნაგებობა, დაიტაცეს მცხოვრებთა ქონება და გერმანიაში გარეკეს კოლმეურნეობის მთელი პირუტყვი. ბავშვთა, ქალთა და მოხუცთა თვალწინ არამზადებმა საშინლად აწამეს ლიუბიგოშჩის მცხოვრებლები.

გერმანელებმა სცემეს 36 წლის კარპე პეტრეს-ძე დემინს, შემდეგ მიუსიეს მას თავიანთი ძაღლები, რომლებმაც იქვე ნაკუწ-ნაკუწად აქციეს კოლმეურნე. 55 წლის კოლმეურნე ტიმოთე კონონოვი ჰიტლერელმა ბანდიტებმა კოცონში შეაგდეს და ცოცხლად დასწვეს.

საშინელი სასჯელი მოიგონეს გერმანელებმა კოლმეურნე ილარიონ მასეკინის 3 წლის ვაჟისათვის. ფაშისტებმა ბავშვი ორმოში ჩააგდეს და მიწას აყრიდნენ, თანაც სტკბებოდნენ სულშეხუთული ბავშვის ხიხინით. ბავშვი საშინელი წამებით მოკვდა დედ-მამისა და ლიუბიგოშჩის მცხოვრებთა თვალწინ. შემდეგ ჰიტლერელებმა მხეცურად მოჰკლეს ბავშვის დედა, მისი ექვსი და-ძმა, ერთიდან 14 წლამდე ასაკისა, და უკანასკნელად მისი მამა — ილარიონ მასეკინი დახვრიტეს.

ნაშუაღამევამდე გაგრძელდა სიკვდილით დასჯა სოფელ ლიუბიგოშჩში. გერმანელებმა ამ სოფლის 56 მცხოვრები აწამეს, მათ რიცხვში 16 ქალი და 10 ბავშვი 10 წლამდე ასაკისა. 180-ზე მეტი კაცი ფაშისტებმა გერმანიის კატორღაში გარეკეს.

საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს პიონერების მონაწილეობა საკავშირო პიონერულ კვირაობაში

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მიმდინარე წლის 8 ნოემბერს ლოზუნგით: „პიონერები ფრონტს!" ტარდება საკავშირო პიონერული კვირაობა.

აღნიშნული კვირაობის წარმატებით ჩატარების მიზნით საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გამოიტანა დადგენილება და დაავალა რაზმეულების, რაიონების, ქალაქებისა და ოლქების შტაბებს, აგრეთვე საქ. ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს უზრუნველჰყონ კვირაობის ორგანიზებულად ჩატარება და მასში პიონერთა ფართოდ ჩაბმა.

კვირაობის ჩატარებამდე 5 დღით ადრე ზუსტად უნდა იქნას განსაზღვრული: რა უნდა გააკეთონ პიონერებმა, რომელ საათზე და სად უნდა გამოცხადდეს სამუშაოდ თითოეული რაზმეული. პიონერულმა რაზმეულებმა დროულად უნდა მოამზადონ წინასწარ გათვალისწინებულ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო იარაღები.

ლაშქრობაზე პიონერები გავლენ რიგში დაწყობილნი, დროშით და სიმღერით.

საქართველოს პიონერები ამ დღეს მოჰკრეფენ სამკურნალო მცენარეულობას, ასკილს, გარეულ ხილს, შეაგროვებენ შავ და ფერად ლითონს, მოამზადებენ საჩუქრებს ფრონტელებისათვის, დაეხმარებიან სკოლებს სათბობი მასალის მომარაგებაში. მოეწყობა აგრეთვე პიონერთა დახმარება ჰოსპიტლებისადმი. პიონერები დაეხმარებიან ფრონტელთა ოჯახებს, შეაგროვებენ და წესრიგში მოიყვანენ ტანსაცმელს და სხვა ნივთებს ევაკუირებული ბავშვებისათვის.

პიონერრაზმეულების, რაიონების, ქალაქებისა და ოლქების შტაბებს, აგრეთვე საქ. ალკკ სარაიონო, საქალაქო და საოლქო კომიტეტებს ევალებათ 15 ნოემბრამდე აცნობონ საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტს კვირაობის შედეგები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲛᲐᲪᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲑᲖᲔ



ნ ხაზენტო პოლკი. სურათზე: 1) ქვემეხის საუკეთესო გუნდი, რომლის მეთაურიც არის უფროსი სერჟანტი მ. გ. გაბელია. 2) პოლკის წარჩინებული ადამიანები: მარცხნიდან მარჯვნივ—მაიორი ნ. ა. კუკხოვი, პოლიტხელი ს. გ. კლიმჩუკი, უფროსი ბატალიონის კომისარი ფ. მ. გრეხი, უფროსი ლეიტენანტი ხ. ს. გურგენიანი, მაიორი დ. მ. რადინი და პოლკოვნიკი მ. გ. კიკნაძე.

ჩრდილოეთ კავკასიაში. ამხ. ქუთათელაძის ქვეგანაყოფის ჯავშანსატრეველები საცეცხლე ზღუდეზე.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ. ერთ-ერთ ბრძოლაში მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ აღმოჩნდა საქვემეხო გუნდი, რომელსაც უფროსი სერჟანტი **მგალობლიშვილი** მეთაურობს. ავიაბომბის ნამსხვრევებმა მწყობრიდან გამოიყვანა ქვემეხის მემიზნე და ორი მებრძოლი. მაგრამ არ დაიბნა გულადი საბჭოთა მეომარი მგალობლიშვილი. გაცხარებულ ბრძოლაში იგი თვითონ ასრულებდა მებრძოლების მოვალეობას. ყუმბარების მიმწოდებელ ამხ. **კალანდიას** დახმარებით გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინა შეტევაზე გადმოსულ მტრის ტანკებს. პირველი ორი გასროლით დაამსხვრია მოახლოებული ტანკი. ამ წარმატებამ კიდევ უფრო გაათამამა მამაცი არტილერისტი. მან განუწყვეტლივ დააყარა ყუმბარები მტრის ჯავშნოსნებს. როცა ამხ. მგალობლიშვილმა მარჯვე სროლით გერმანელთა მეორე ტანკიც მწყობრიდან გამოიყვანა და ზედ მსხდომი მეავტომატეები გაჟლიტა, დანარჩენები უკუიქცნენ.

მეტყვიამფრქვევეებს **გ. კოპალიანს, ი. ბიგვავას, ვ. და თ. მუშკუდიანებს, გ. სხირტლაძის** მეთაურობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზღუდის დაცვა ჰქონდათ დავალებული. მამაცმა მეტყვიამფრქვევეებმა მოხერხებული საცეცხლე პოზიცია აირჩიეს, ოსტატურად შენიღბეს ტყვიამფრქვევი და ერთმანეთს შეჰფიცეს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ დაკავებული ზღუდისათვის. 3 დღე-ღამე მედგრად იცავდნენ საბჭოთა მეომრები ამ ზღუდეს. მტერმა მათი აღმოჩენა ვერ შესძლო. ისინი სწრაფად იცვლიდნენ საცეცხლე პოზიციას, გულდასმით უთვალთვალებდნენ მტრის მოძრაობას, დაუნდობლად ჟლეტდნენ გერმანელებს. ხუთმა გულადმა მეომარმა მტრის ჭარბი ძალების რამდენიმე შემოტევა მოიგერია, ჩაახშო მოწინააღმდეგის 7 საცეცხლე წერტი და ერთ ასეულამდე ჰიტლერელი გაჟლიტა.

მტერი დილიდანვე უტევდა ჩვენს თავდაცვითს ზღუდეს, მაგრამ მან წარმატებას ვერ მიაღწია. უკანასკნელად ჰიტლერელებმა იმ მხრიდან დაიწყეს შემოტევა, სადაც სერჟანტ **ხ. ცენტერაძის** ათეული იყო განლაგებული. მებრძოლები დაუნდობლად მუსრავდნენ გერმანელთა ურდოებს, გადამღობი ცეცხლით არ აძლევდნენ წინწამოწევის საშუალებას. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი ამხ. ცენტერაძემ. მან ხელის ტყვიამფრქვევით 15 გერმანელი მხეცი დახოცა, ხოლო დანარჩენი გაფანტა. დაზარალებულმა მტერმა ვერ გაუძლო ჩვენს მკვეთრ წინააღმდეგობას და წინანდელ პოზიციაზე დაიხია.

თავდაცვით ზღუდეზე, რომელსაც ჩვენი მებრძოლები იცავდნენ მთელი დღის განმავლობაში, ზედიზედ მოჰქონდათ იერიში გერმანელებს. გამარჯვების რწმენით აღსავსე მეომრები წარმატებით იგერიებდნენ მტრის ჭარბი ძალების მოწოლას. მტერი ბრძოლაში ახალ-ახალ ძალებს აბამდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. მებრძოლები აუცდენლად ურტყამდნენ ფაშისტებს. წითელარმიელმა **ა. ბერიძემ** ზამბახით 15 ჰიტლერელი მოსპო. ასევე მედგრად ჟლეტდნენ გერმანელ ოკუპანტებს ზემდეგი **მეფარიშვილი,** წითელარმიელები **ვ. კობაიძე, პ. ფერაძე, ი. მამალაძე** და სხვ.

გააფთრებული მტერი ყოველგვარ ხრიკებს მიმართავდა. იგი ერთხელ კიდევ შეეცადა ფლანგებისკენ გამოჭრილიყო და ჩვენი საბრძოლო დაცვა რკალში მოემწყვდია. ამ მიზნით მან ბრძოლაში ტანკები გამოიყვანა. ტანკები ტყვიამფრქვევების ძლიერი ცეცხლით უახლოვდებოდნენ ჩვენს სიმაგრეებს. აქ თავი იჩინა ლეიტენანტ **ვ. მაჭარაშვილის** სიმამაცემ. იგი ჯავშანსატრეველმომარჯვებული თვალს არ აშორებდა ტანკების მოძრაობას. ერთ-ერთი ტანკი ჩვენი განლაგების მარცხენა ფლანგისკენ გამოემართა, მაგრამ პირდაპირი დამიზნებით მაჭარაშვილმა მას ცეცხლი გაუჩინა. მანვე მწყობრიდან გამოიყვანა მეორე ტანკიც, რომელიც უკან გაქცევას ლამობდა.

ჩვენს ნაწილში საყოველთაოდ ცნობილია მებრძოლი ალექსანდრე **ბენიძე.** ბენიძემ ერთ ბრძოლაში მტრის დაზგის ტყვიამფრქვევის მთელი გუნდი გამოიყვანა მწყობრიდან, მეორე ბრძოლაში 5 ჰიტლერელს მოუსპო სიცოცხლე, ხოლო შემდგომ ხელჩართულ ბრძოლაში 8 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი აჰკუწა.

ასე ვაჟკაცურად იბრძვიან საქართველოს სახელოვანი შვილები გერმანელი ყაჩაღების წინააღმდეგ.

პოლიტხელი **ქ. ᲓᲝᲒᲝᲠᲯᲒᲘᲜᲘᲫᲔ**

ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲓᲐᲠᲘᲐ

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). ერთ-ერთ ბრძოლაში პოლიტხელი **ლ. ლურსმანაშვილი** თავისი მცირე ჯგუფით მოწინააღმდეგის ექვს ტანკს წააწყდა. ბრძოლის ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ ამხ. ლურსმანაშვილი თავისი მებრძოლებისაგან განცალკევებული აღმოჩნდა. მას გრანატებიც გამოელია. მან დაიწყო ცეცხლის ხაზიდან ფარულად თავისიანებისაკენ სვლა. მტერმა პოლიტხელი შენიშნა და მოტოციკლისტი გამოუყენა, რათა იგი ტყვედ ჩაეგდო. ამხ. ლურსმანაშვილი მიწას გაეკრა. მას მხოლოდ რევოლვერის იმედიღა ჰქონდა. მტრის მოტოციკლისტი სულ უფროდაუფრო უახლოვდებოდა განსაცდელში ჩავარდნილ პოლიტხელს.

ამ დროს მის ზურგს უკან შაშხანის სროლის ხმა გაისმა და მტრის მოტოციკლისტი მეავტომატე მიწაზე დაენარცხა. ლურსმანაშვილმა სული მოითქვა, მოიხედა უკან და გადაეხვია თავის მებრძოლს, რომელმაც იგი სიკვდილისაგან იხსნა. მისი მხსნელი იყო **ი. სოფრომაძე,** ჩვენი გულადი მებრძოლი და გერმანელ ყაჩაღთა შეუბრალებელი გამქლეტი.

პოლიტხელი **პ. ᲨᲐᲛᲐᲗᲐᲕᲐ**

ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲛᲐ Მ. ᲗᲔᲗᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ 11 ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲞᲝ

მტრის ერთ ოცეულზე მეტმა მოულოდნელად შემოუტია ჩვენს ათეულს, რომელიც სერჟანტ ბიკოვის მეთაურობით 6 სიმაღლის ჩრდილო-დასავლეთ მისადგომებს იცავდა. ათეულმა ბრძოლა მიიღო ფაშისტთა ჭარბი ძალების წინააღმდეგ. გერმანელებმა მოახერხეს თავდაცვის სიღრმეში შემოჭრა. მდგომარეობა დაძაბული შეიქმნა, მაგრამ საბჭოთა მებრძოლების სიმტკიცე მტრის მოწოლამ ვერ დასძლია.

უშიშარმა მებრძოლებმა კვლავ მოიკრიბეს ძალ-ღონე. მათ ავტომატებისა და ტყვიამფრქვევის თავზარდამცემი ცეცხლით უპასუხეს მტრის მესამე შემოტევას. ფაშისტები უკუქცეულ იქნენ. გერმანელ ჯარისკაცთა გვამებით მოიფინა მიდამო.

ამ ბრძოლაში მარტო წითელარმიელმა **მ. თეთრუაშვილმა** ხელის ტყვიამფრქვევით 11 გერმანელ ჯარისკაცსა და ოფიცერს მოუსპო სიცოცხლე.

Ი. ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მოქმედი არმია.

ᲐᲚᲘᲝ ᲛᲐᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲘ

აქ—დარიალის მცველად დამტოვეს,
მთებში ვგუგუნებ თერგის ნალარით,
აქ—უთვალავმა წლებმა დამთოვეს
დაუდნობელი თოვლის ჭალარით.

ცა მშობლიური ავწიე ზურგით,
ქვეყნებს ვუსწორებ თვალს ამაყურად,
ტანთ ვეფხის-ტყავის მაცვია ქურქი,
თავზე რუსთველის ქუდი მახურავს.

აქედან კრემლის კედლებს გავყურებ,—
ბრწყინავს ვარსკვლავი განუქარველი,
იქ ბუდობს ჩემი ბრძენი არწივი,
ყვავყორნებისგან ქვეყნის მფარველი.

ვარ ამაყი და მუდამ ძლიერი,
იქით ხევია, აქით ხევია,
მუდამ ვუძლებდი მტერთა იერიშს,
ნაბიჯიც აღარ დამიხევია.

დღეს რა ხმა მესმის, რა ჟრიამული,
წვიმაც ეშვება, მეხიც გრიალებს,
ასე რად შფოთავს ჩვენი მამული,
თერგს ასე მწარედ რა აღრიალებს?

მთებს აზანზარებს ღრუბლების ღელვა,
ფარების მსგავსად ჩანან ველები,
სივრცეს ანათებს წყაროთა ელვა,—
თითქოს ლესავენ ხმლებს ქართველები.

ვინ ბედავს ქართლი აატალახოს,
თავს დაგვატეხოს რისხვა და მეხი?
ზღვა გადალახოს, მთა გადალახოს,
და კავკასიონს დაადგას ფეხი?

ჰეი, წამოდექ, წამოუბერე,
ქარო ავქარო, ავდარიანო,
ზევით არ ვნახო სხვათა ღრუბელი,
დე, ვარსკვლავებმა გადმიარონ.

სოფლიდან სოფელს ჩამოუარე,
გმირებს მოუხმე თერგის ნალარით,
ჩინგის-ყაენის ბრბოზე უარეს
დაძრულა შავად მტრის ნიაღვარი.

მეხს დავეყრდნობი მრისხანეს, მწვავეს,
და წამოვდგები მთების უკუნით,
ადგილს მოვწყდები და როგორც ზვავი
მტერს დავემხობი ქვების გუგუნით!

ᲛᲔᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲔ Ს. ᲓᲐᲠᲩᲘᲐ ᲓᲐ Ა. ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

სიმაღლესთან, რომელიც გადასცქერის შარა გზასა და საცალფეხო ბილიკს, მუხის გამძლე ტოტებზე ორი ჩვენი მეავტომატე შემომსხდარიყო, მოუთმენლად ელოდნენ გზაზე გერმანელთა გამოჩენას.

მალე აუსრულდათ საწადელი. ვიწრო ბილიკზე ფაშისტი ოფიცერი მოაჭენებდა ცხენს. მეავტომატე **ს. დარჩიამ** ოფიცერი მიზანში ამოიღო და სამი გასროლით გადმოაყირავა იგი.

— ყოჩაღ, სიმონ!—უთხრა მებრძოლმა **ალ. მეგრელიშვილმა** მარჯვე მეავტომატეს და თვითონაც წამოსწია წინ ავტომატი.

არ გასულა ორი წუთი, რომ შარა გზაზე დარჩიამ კვლავ მტრის ავტომანქანა შენიშნა ჯარიანად და უტყუარი ავტომატი მოწინააღმდეგისაკენ გამართა.

ორი ქართველი მეავტომატე ერთმანეთს შეეჯიბრა.

ამ შეჯიბრებაში ორმა ვაჟკაცმა—ამხ. მეგრელიშვილმა და დარჩიამ—10-ზე მეტ ოკუპანტს მოუღო ბოლო.

წითელარმიელი **Ი. ᲛᲔᲚᲐᲫᲔ**

მოქმედი არმია.

ᲮᲣᲗᲘ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲘᲗ ᲮᲣᲗᲘ ᲢᲐᲜᲙᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ამ ეპიზოდის შესახებ გვიამბეს გვარდიის ზემდეგმა პავლე მარკოვმა და გვარდიის წითელ არმიელმა თევდორე ლინევმა.

— შეაჩერეთ მტერი, რადაც უნდა დაჯდეს, ვიდრე ქვეგანაყოფის ძირითადი ძალების გადაჯგუფება სწარმოებს,—ასეთი იყო საბრძოლო ბრძანება.

ორჯერ უკუიქცნენ გერმანელები, რომლებიც ცდილობდნენ რაოდენობით გავესრისეთ. მესამე იერიშის დროს ქვეითებს წინ წამოუძღვნენ ტანკები. ტყის იქიდან ექვსი ტანკი გამოგორდა და პირდაპირ ტყის პირისაკენ წამოვიდა. ჩვენ უკვე გამოგველია გრანატები. რით მოვიგერიოთ ტანკები? გადავწყვიტეთ: „მანქანები გამოვუშვათ და გერმანელ არამზადა ქვეითებს ტყვიამფრქვევები და შაშხანები დავუშინოთ“.

უეცრად მაშველი ძალა მოგვევიდა. ვხედავთ: ხუთი არტილერისტი იქვე მახლობლად მიაგორებს ზარბაზანს ტანკების შესახვედრად. მიაგორებენ დინჯად, მტკიცედ, თითქოს პოლიგონზე არიანო. მათ მეთაურობს ქართველი სერჟანტი. გვესმის, როგორ ეკითხება იგი:

— რამდენი ყუმბარა დაგვრჩა?

— ხუთი, ამხანაგო სერჟანტო,—უპასუხეს.

— ოთხი ტანკი დავაზიანოთ, დანარჩენები გაიქცევიან,—გულდამშვიდებით ამბობს სერჟანტი და უბრძანებს მოემზადონ სროლისათვის.

ტანკები კვლავ წინ მოდიოდნენ.

ხუთჯერ გასტენეს არტილერისტებმა ზარბაზანი და ხუთი ტანკი დააზიანეს. მეექვსემ პირი იბრუნა და გაიქცა.

ვინ იყვნენ ეს მამაცები,—ვერ მოვასწრეთ გამოგვეკითხა. მოვიდა მეკავშირე, და არტილერისტთა ხუთეულმა თავისი ქვემეხი გააგორა მარჯვენა ფლანგისაკენ, სადაც აღმოჩნდა ყუმბარებიც და ახალი მიზანიც ზარბაზნისათვის.

მოქმედი არმია. („იზვესტიას“ სპეცკორესპონდენტისაგან).

(„იზვესტია“, 28/X).

ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲗᲐ ᲠᲔᲘᲓᲘ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲨᲘ

ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲤᲚᲝᲢᲘ, 30 ოქტომბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). როცა დაბნელდა, შავზღველთა ჯგუფი სერავინის მეთაურობით მტრის ზურგში გადავიდა ...

... დოკუმენტები და შეუერთდნენ წითელფლოტელებს, რომელნიც მტრის გარნიზონს ჟლეტდნენ. მეზღვაურებმა მოსპეს 50-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ორი დაზგის ტყვიამფრქვევი, 12 ...

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲐᲦᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

(„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

დილიდან შუადღემდე გერმანელთა სამი სულმოუთქმელი იერიში მოიგერიეს უმცროსი ლეიტენანტის აკაკი რობაქიძის ქვეგანაყოფის მებრძოლებმა.

მისი ქვეგანაყოფი გათენებისას ამოვიდა კლდოვან მთაგანზე. მეომრებმა თავდაცვის გამაგრება ვერ მოასწრეს, რომ უმალვე ბრძოლაში ჩაებნენ.

მტერი გაბოროტდა. ფაშისტები კბილებს იმტვრევდნენ ამ კლდეზე, ზედახორად აწყდებოდნენ ჩვენების თავდაცვას. უკვე არა ერთი-და-ორი გერმანელი უსულოდ ეგდო დაქანებულ ფერდობზე ატეხილ ჯაგებში, მაგრამ მტერი მაინც უტევდა მბრძანებელ მაღლობს, უტევდა განუწყვეტლივ, დამთხვეული კაცის ჟინიანობით.

მისი ასეთი მონდომება გასაგები იყო. აქედან, ამ მაღლობიდან გერმანელები ადვილად შესძლებდნენ ხევში შეჭრილი გზატკეცილის გამოთოფვას, საიდანაც ჩვენი ქვეითი ჯარი საომარ მასალას და სურსათს იღებდა.

არახელსაყრელ პირობებში უხდებოდა ბრძოლა რობაქიძის მცირერიცხოვან ქვეგანაყოფს. მებრძოლები ერთდროულად მტერსაც იგერიებდნენ და თავდაცვის ზღუდესაც ამაგრებდნენ. ერთი კაცი რომ გერმანელს ესროლა, მეორე იქვე სანგარს აკეთებდა ...

მიუხედავად სანგრების სიმცირისა, გამჭრიახმა და უმტყუნო გეშის მქონე მეთაურმა მარჯვე და მადლიანი საბრძოლო ადგილი მიუჩინა ყოველ მებრძოლს. ამიტომ სამი იერიშის განმავლობაში ჩვენგან მხოლოდ რამდენიმე კაცი დაიჭრა მსუბუქად.

ნაშუადღევს დაზარალებულმა მტერმა შეისვენა, მთაგანზე თანდათან სიჩუმე დამყარდა. ერთხანს კიდევ ისმოდა, როგორ ცვიოდნენ უფსკრულში დაგორებული ქვები, მერე ისიც მისწყდა...

ერთბაშად ამ დაძაბულ დუმილში მანქანის ნელი, შორეული გუგუნი შემოიჭრა. გუგუნი ისმოდა გზატკეცილის ერთ-ერთ უბანზე, რომელიც გერმანელთა თავდაცვის წინა კიდეს ემიჯნებოდა.

— მეავტომატეები მოჰყავთ! — წასჩურჩულა რობაქიძეს პოლიტხელმა სერგო ჯანჯღავამ.

რობაქიძემ მიხვედრის ნიშნად თავი დაუქნია და ნაშალ ლოდებში შებუდრულ დაზგის ტყვიამფრქვევთან მიხოხდა.

— არ ისროლო, სანამ ნიშანს არ მოგცემ! ნიშანი—ჩემი გრანატი იქნება!—უთხრა მეტყვიამფრქვევეს და მეავტომატეთა მოგერიების თადარიგს შეუდგა.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ 19 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 30 ოქტომბერი (საკდესი). თურქეთის რესპუბლიკის 19 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით, გაიმართა ანკარის გარნიზონის ნაწილთა პარადი, რომელზეც სიტყვა წარმოსთქვა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ისმეთ ინენიუმ.

დღესასწაულის სიტყვაში ისმეთ ინენიუმ დღესასწაული მიულოცა თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეებს და აღნიშნა, რომ მსოფლიო ომის მეოთხე წლის პირობებში თურქეთი, მრავალ სიძნელეთა მიუხედავად, „ურყევად დგას, [illegible] ერთიანია“. „მთელი ჩვენი ყურადღება,—განაცხადა ისმეთ [illegible] ეროვნული მთლიანობის შენარჩუნებისაკენ“. ისმეთ ინენიუმ აღნიშნა, რომ საბჭოთა არმიისა და თურქეთის ახალგაზრდობისათვის ზრუნვის გაძლიერება და რწმენა გამოსთქვა, რომ მთელი ახლანდელი და მომავალი სიძნელეები გადალახულ იქნება.

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 31 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის შეიარაღებული ...

მოკავშირეთა ავიაცია ინარჩუნებდა ჰაერში ბატონობას და დღე-ღამის განმავლობაში ...

ᲛᲣᲥᲐᲠᲐ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲔᲚᲘ ᲝᲑᲔᲠ-ᲛᲫᲐᲠᲪᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲨᲘ

ᲡᲢᲝᲥᲰᲝᲚᲛᲘ, 31 ოქტომბერი (საკდესი). ჰიტლერის მოადგილეები ოკუპირებულ ბალტიისპირა საბჭოთა რესპუბლიკებში აშკარად არიან შეშფოთებულნი იმით, რომ გლეხები ეწინააღმდეგებიან საოკუპაციო ხელისუფალთა ცდას რეკვიზიცია უყონ სოფლად მთელ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

როგორც გაზეთი „რევალერ ცაიტუნგი“ იუწყება, ესტონეთის ჰიტლერელმა „გენერალურმა კომისარმა“ ლიცმანმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ „გლეხთა სამი მეოთხედი ძალიან ჩამორჩა ხელისუფალთა ბრძანების შესრულებაში პროდუქტების ჩაბარების შესახებ“ და რომ „მოსახლეობა ყოველდღიური ცხოვრების სიმძიმის გამო, სამშობლოს ... წუხაროდ, ყოველთვის როდი სცნობს მმართველობის ორგანოების განკარგულებას“. ლიცმანმა განაცხადა, რომ კარტოფილის მეტი წილი, თუმცა მისი მოსავალი დილის ყინვებმა დააზიანა, გლეხები ვალდებული არიან, ჯერ კიდევ ზამთრის დადგომამდე ჩააბარონ. კარტოფილის მოსავლის აღების შემდეგ გლეხები ვალდებული იქნებიან შემა დაამზადონ გერმანელთა არმიის საჭიროებისათვის. ლიცმანმა აშკარად გააფრთხილა, რომ „გლეხს არ ექნება არც მოსვენება, არც დასვენება“ და რომ „კარტოფილის, რძისა და სხვა პროდუქტების ჩაბარებისაგან არც ერთი გლეხი არ იქნება განთავისუფლებული“. „იმედი მაქვს,—მრისხანედ განაცხადა ჰიტლერელმა სატრაპმა,—ეს მითითება სრულიად საკმაოა!“.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲜᲢᲘᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 31 ოქტომბერი (საკდესი). ლონდონში გამომავალ გაზეთ „დი ცაიტუნგს“ მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ ანტიგერმანული განწყობილების განუწყვეტელ ზრდას იტალიაში. მოსახლეობა აღშფოთებულია იტალიაში გერმანელთა თავხედური პარპაშით, ჰიტლერის დაუსრულებელი მოთხოვნით გერმანელებისათვის ნედლეულის, სურსათის და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გასაგზავნი საზარბაზნე ხორცის მიცემის შესახებ. ეს უკმაყოფილება არმიაშიც აღწევს, ამას წინათ ათენში აჯანყდა იტალიელთა ნაწილი, რომელიც ფრონტზე უნდა გაეგზავნათ. 200 მოთავე დაბორკილი გაგზავნეს საკონცენტრაციო ბანაკში. ზოგიერთი იტალიელი ოფიცერი და გენერალი აცხადებს, იტალიას მეტი აღარ შეუძლია გაგზავნოს ჯარი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, ვინაიდან იტალიის არმიამ ოკუპირებული ტერიტორიები უნდა დაიცვას ბალკანეთშიო.

იტალიის ფაშისტ მეთაურებს, სწერს გაზეთი, განსაკუთრებით აწუხებთ მოსახლეობის აღშფოთება გერმანიაში სურსათის გაგზავნის გამო, რაც იწვევს ისედაც უბადრუკი ულუფის სისტემატურ შემცირებას. ფაშისტური ჟურნალი „კრიტიკა ფაშისტა“ ამას წინათ იძულებული იყო აღეარებინა, რომ „გერმანელებს სრულიად მცდარი წარმოდგენა აქვთ იტალიელი ხალხის სასურსათო საჭიროებაზე“.

ჰიტლერელები ისწრაფვიან განამტკიცონ თავიანთი პოზიციები იტალიაში. ჩრდილოეთ იტალიაში, გენუადან ტრიესტამდე უკვე დიდი ხანია დაბანაკებული არიან გერმანული გარნიზონები. გერმანელთა ავიაცია იკავებს იტალიის აეროდრომებს. იტალიაში გაიგზავნა რამდენიმე ასეული გესტაპოელი ანტიგერმანულ ელემენტებთან საბრძოლველად. იტალიაში მათი ჩასვლის უმალვე მოხდა რამდენიმე ახალი დასჯა სიკვდილით. შინაპოლიტიკური გაღრმავებული კრიზისით დაშინებულმა მუსოლინიმ შექმნა პირადი დაცვა 46 ბატალიონი შავპერანგიანის რაოდენობით.

ᲡᲐᲑᲝᲢᲐᲟᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲑᲖᲔ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 31 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ უცნობმა პირებმა ააფეთქეს 4 რკინიგზის შტო გერმანელებისათვის მნიშვნელოვან ბერლინ-ვარშავის მაგისტრალზე. საბოტაჟის აქტები პოლონეთის რკინიგზებზე ამ უკანასკნელ ... ფოთებული არიან ამით, რაზედაც შეიძლება ვიმსჯელოთ მათი 24 ოქტომბრის განცხადების მიხედვით 55 პოლონელი მძევლის სიკვდილით დასჯის შესახებ. გერმანელებმა აღნიშნეს, რომ ეს სიკვდილით დასჯა მოხდა რეპრესიის სახით ტრანსპორტზე საბოტაჟისა...